შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №22970

2019 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 ივნისის №21078 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2019 წლის 25 ივნისის №73200-21-03 სხდომის ოქმი.

სამსახურის უფროსი ვახტანგ ლაშქარაძე

დანართი №1

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
პროპილისა და იზოპროპილის სპირტი სეს ესნ კოდი: 2905 12	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,80
მეთილის სპირტი სეს ესნ კოდი: 2905 11	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,15
პარაქსილოლი სეს ესნ კოდი: 2902 43	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,30
პიროლიზული ფისი სეს ესნ კოდი: 3911 90 990 00	
სარკინიგზო გადაზიდვები	1,00
ვაკუუმური გაზოილი სეს ესნ კოდი: 2710 19 310 00, 2710 19 350 00.	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,60
აირის კონდენსატი ბუნებრივი სეს ესნ კოდი: 2709 00 100	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,75
ნავთობის აირები გათხევადებული სეს ესნ კოდი: 2711	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,90
შენახვა	1,10

შენიშვნა: შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს მიღებისა და გაცემის დანაკარგს.